ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №574

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ") ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 9 დეკემბერს ქ. თბილისში

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76, 299-10-01

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900 ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს "E2E4"

საიდენტიფიკაციო კოდი: 404398120

მისამართი: ქ. თბილისი, ვ.დოლიძის ქ, კორ. 25, ბ.131

ხელმძღვანელი: მინდობილი პირი ნუცა ჩიქოვანი

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22; ანგარიშის № GE48TB7465736080100001.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებსსაქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში საჩუქრების შესყიდვა დანართის (ფასების ცხრილი) შესაბამისად **(CPV-18530000).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **25,650.00 ლარი.**

ოცდახუთი ათას ექვსასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.1.1 ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით (ფასების ცხრილი).

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს სასაჩუქრე საქონელი დანართის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ, სხვადასხვა პროექტებზე და ღონისძიებებზე მოწვეული მაღალი რანგის სტუმრებისთვის საჩუქრად გადასაცემად და ასევე ახალი წლის დღესასწაულისთვის სხვადასხვა უწყებების (საერთაშორისო ორგანიზაციები, საელჩოები და ა.შ.) მაღალი რანგის წარმომადგენლებზე გადასცემად.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება.

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
09 12 2015 წ.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს საქონელის ხარისხი.

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის შემოწმება და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული საქონელი ან დაუბრუნოს შემსყიდველს მისი ღირებულება

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს თეა ბოლქვაძეს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო საქონელის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს საქონელთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს თეა ბოლქვაძეს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გ.ჭანტურიას ქუჩა №12.

8.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.**

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 25 იანვრის ჩათვლით.**

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

შემოსულია იურიდიულ
დეპარტამენტში
09 12 2015 წ.
5 ფურცელი

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო საქონელის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს საქონელის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო მურჯიკნელი	**შპს "E2E4" მინდობილი პირი ნუცა ჩიქოვანი**

შემთანხმებულია ეროვნულ დეპარტამენტთან
08 12 2015 წ.
5 ფურცელი

მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი

№	საქონლის დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)
1.	**სასაჩუქრე ნაკრები პატარა ბრენდირებულ ყუთში:** 1) ტყავის ბლოკნოტი. ზომა -14სმX9 სმ. ბრენდირება ყდაზე ვერცხლით შიგთავსი 80 გრ. ივორი 96 ფურცელი. ბეჭდვა 1+1. ყდაზე მიმაგრებული ჯიბით. 2) ბიოდეგრადირებადი კალამი. პლასტიკის კალმის სიგრძე 13.5 სმ. -+ 2მმ. X სტანდარტის გულით. მექანიზმიანი კლიპით და საკიდით. ვერცხლისფერი ბრენდირებით. 3) ზამბარიანი სამაგიდე კალენდარი-12 ფურცელი 150 გრ ცარცი + ყდა 300 გრ ცარცი ლამინაციით ბეჭვდა 4+4.ზომით 11სმX15.5სმ. 4) მისალოცი ბარათი - დეკორატიული პერლამუტრის ქაღალდი, satin crim, 300გრ, ბრენდირება კონვერტზე ვერცხლით. ზომა 11 სმ X 15სმ.ნაკრები მოთავსებული უნდა იყოს სასაჩუქრე ვერცხლისფრად ბრენდირებულ ყუთში.ზომა ა5. 125 ცალი ბლოკნოტი და ბიო კალამი თეთრი და 125 ცალი ბლოკნოტი და ბიო კალამი შავი.	ცალი	250	27	**6750**
2.	**ზამბარიანი ბლოკნოტი ბრენდირებული პლასტიკის კალმით**: 1) A5 ზომა 50 ფურცელი 80 გრ ობსეტი.ყდა 300 გრამი ცარცი 2) პლასტიკის თეთრი კალმის მთლიანი ზომა 13.5სმX0.9 სმ. ღერძზე მბრუნავი კლიპით. ბრენდირება ვერცხლისფრად.	ცალი	1000	3.2	**3200**
3.	**VIP სასჩუქრე ნაკრები:** (შავი ტყავის ყუთი. მასალა მაღალი ხარისხის მატირებული ტყავისშემცველი- ზომით 33სმ X 27სმ X 4 სმ. +- 4მმ .რომელშიც მოთავსებულია: 1) ტყავის შავი ა5 ბლოკნიტი.(ყუთის მასალის) ბრენდირება ყდაზე დამღით. შიგთავსი 80გრ ივორის ქაღალდი, ინდივიდუალური დიზაინის, ბეჭვდა 1+1. ყდაში ფურცლები ჩაკრული უნდა იყოს როგორც წიგნში, თერმულად აკინძული და უბეჭდავი 120 გრ ობსეტის ფოლზაცის ქაღალდით დაკავშირებული ყდასთან. აკინძვისას არ უნდა იქნეს გამოყენებული ზამბარა. ყდა შეღებილი, კუთხეები მომრგვალებული . ბლოკნოტის ყდა უნდა იყოს მყარი,არადრეკადი. 2) შავი ხის მატირებული როლერი-ნიკელის დეტალებით და საკიდით. კორპუსის ზომა 14სმ X 1.3 სმ.-+ 1 მმ. ლაზერული ბრენდირებით. 3) შავი ტყავის სავიზიტე-ორმხრივად გასახსნელი ორენოვანი ბარათებისათვის . ლინენის ეფექტით, ზომა 9.5სმ X 6.5სმ X 1.4 სმ . ლაზერული ბრენდირებით. 4) 8.გბ. ფლეშმეხსიერების ბარათი-ტყავისა და მატირებული ნიკელის კომბინაცია, მაგნიტიანი გასახსნელით და მეტალის საკიდით, ბარათის მთლიანი ზომა- 7 სმ X 2 სმX 1.5 სმ. ბრენდირება ტყავის კორპუსზე.	ცალი	10	95	**950**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ
დეპარტამენტში
12 2015 წ.
5 ფურცელი

4.	**სასაჩუქრე ნაკრები დიდი ბრენდირებულ ჩასადებში:** 1) ტყავის ა5 ბლოკნიტი. ბრენდირება ყდაზე დამღით. შიგთავსი 112 ფურცელი- 80 გრ. აივორი -ბეჭვდა ინდივიდუალური დიზაინის 1+1. ყდაში ფურცლები ჩაკრული უნდა იყოს როგორც წიგნში, თერმულად აკინძული. ყდა შეღებილი, კუთხეები მომრგვალებული . ბლოკნოტის ყდა უნდა იყოს დრეკადი სისქით 1 მმ. 125 შავი და 125 ნაცრისფერი 2) მეტალის სენსორიანი როლერი ზომა 13.5/0.8 სმ. 3) ზამბარიანი სამაგიდე კალენდარი-12 ფურცელი 150 გრ ცარცი + ყდა 300 გრ ცარცი ლამინაციით ბეჭვდა 4+4.ზომით 11სმX15.5სმ. 4)მისალოცი ბარათი - დეკორატიული პერლამუტრის ქაღალდი, satin crim, 300გრ. ბრენდირება ვერცხლით. ზომა 11სმ X 15სმ.+usb 8gb.ნაკრები მოთავსებული უნდა იყოს სასაჩუქრე ვერცხლისფრად ბრენდირებულ ყუთში.ზომა ა4	ცალი	250	59	**14750**

საერთო ღირებულება	**25650.00 ლარი**

შემსყიდველი:
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა
და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი /ნინო მურჯიკნელი/

მიმწოდებელი:
შპს "E2E4"
მინდობილი პირი /ნუცა ჩიქოვანი/

ასლი სწორია მოწმობილია ორიგინალს
დეპარტამენტში
03 12 2015 წ.
5 ფურცელი